სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს

გადაწყვეტილება N578

(ოქმი N506

ქ. თბილისი 2024 წლის 14 მარტი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30(1) მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2024 წლის 11 მარტის N 02-19/75 წერილის თანახმად, ცვლილება შევიდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დებულებაში და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

დანართი:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დებულება.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

გრიგოლ მურღულია

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი Besik Liluashvili 61003005358 Digitally signed by Besik Liluashvili Date: 2024.03.14 06:18:45

ლაშა ტუღუში

იზაბელა ოსიპოვა

ზაზა აბაშიძე

მიხეილ ჩიკვილაძე

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

ბონდო მძინარაშვილი

თამილა დოლიძე

გიორგი კოხრეიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი
მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს" (შემდგომში - ,,აჭარის ტელევიზია და რადიო") მიზნებს, ამოცანებს, უფლებამოსილებებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას და აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2. აჭარის ტელევიზია და რადიო არის ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებელია ხელისუფლებისაგან, არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას და ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაზე.

1.3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სრული სახელწოდებაა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო".

1.4. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემოკლებული სახელწოდებაა: სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო''.

1.5. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის გამზირი N41.

მუხლი 2. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს უფლებამოსილების ფარგლები

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს უფლებამოსილების ფარგლები დადგენილია ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიზნები და ამოცანები

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:

ა) საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებების განხორციელება;

ბ) საზოგადოებისათვის პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება;

გ) შექმნილი ტელერადიო პროდუქციით, გაწეული მომსახურებითა და შესრულებული სამუშაოებით ტელერადიომაუწყებლობის დარგში საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მუხლი 4. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის სფერო

4.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება:

ა) სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის განხორციელება საქართველოსა (ძირითადად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში) და მის ფარგლებს გარეთ;

ბ) სატელევიზიო და რადიო პროგრამების წარმოება, გახმოვანება, ტირაჟირება და საზოგადოებისათვის მიწოდება;

გ) ტელერადიომაუწყებლობის ქსელის შექმნა;

დ) ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და საზოგადოებისათვის მიწოდება;

ე) ტელერადიო პროდუქციის საკონკურსო საწყისებზე გამოვლენა და მისი საზოგადოებისათვის მიწოდება;

ვ) საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მის მიერ გავრცელებული ტელერადიო პროდუქციის შესახებ;

ზ) მარკეტინგული და სოციოლოგიური კვლევების ჩატარება;

თ)კანონმდებლობით დადგენილი წესით აუდიო-ვიდეო, აუდიოვიზუალური და კინო პროდუქციის შეძენა, ამ პროდუქციაზე საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებების მოპოვება;

ი) ტელერადიო პროდუქციის შექმნისათვის საჭირო პირობების შექმნა;

კ) სარეკლამო პროდუქციის დამზადება;

ლ) სარეკლამო მომსახურების განხორციელება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

მ) აჭარის ტელევიზია და რადიო ახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც ემსახურება და მიზნად ისახავს ,,მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შინაარსობრივი ვალდებულებების შესრულებას.

მუხლი 5. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელობა

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელი ორგანოები არიან:

ა) საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო;

ბ) დირექტორი.

მუხლი 6. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურა

6.1. აჭარის ტელევიზია და რადიო შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური;

ბ) რადიო მაუწყებლობის სამსახური;

გ) ონლაინ მედიის სამსახური;

დ) ახალი ამბების სამსახური;

ე) საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახური;

ვ) მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური;

ზ) მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური;

თ) ფინანსური ეფექტიანობის სამსახური;

ი) იურიდიული მხარდაჭერის სამსახური;

კ) საკადრო ბაზის განვითარების სამსახური;

ლ) საარქივო სამსახური;

მ) მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახური;

ნ) შიდა აუდიტის სამსახური.

6.2. აჭარის ტელევიზიასა და რადიოში დირექტორის ბრძანებით, შეიძლება შეიქმნას სათათბირო კოლეგიური ორგანოები, რომელთა გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

მუხლი 7. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო

მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა რაოდენობა, ფორმირების წესი, გადაწყვეტილებების მიღების წესი და უფლებამოსილება განსაზღვრულია ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით.

მუხლი 8. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი

8.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობას ახორციელებს დირექტორი.

8.2. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების წესი, პირობები და პროცედურები განსაზღვრულია `მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით.

8.3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი:

ა) წარმოადგენს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ინტერესებს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;

ბ) გამოსცემს ბრძანებებს და იძლევა განკარგულებებს, რაც სავალდებულო შესასრულებელია აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებისათვის;

გ) აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სახელით გასცემს მინდობილობებს (რწმუნებულებებს);

დ) ამტკიცებს სტრუქტურული ერთეულის დებულებას;

ე) საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, ბიუჯეტს, საშტატო განრიგს და თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს, სახელფასო ფონდს, მათ შორის, საპრემიო ფონდს და პრემიების ზღვრულ ოდენობებს;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომლებთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.

ზ) ამტკიცებს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შიდა დოკუმენტაციას, რომელიც განსაზღვრავს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიმდინარე საქმიანობას;

თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განაგებს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ქონებასა და ფინანსებს;

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სახელით დებს გარიგებებს;

კ) ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რაც აუცილებელია აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიზნების მიღწევისა და ნორმალური საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

ლ) დირექტორის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებითა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 9. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მოადგილეები

9.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე: ა) დირექტორის მოადგილე მაუწყებლობის განვითარების დარგში; ბ) დირექტორის მოადგილე ტექნიკური განვითარების დარგში.

9.2. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მოადგილე მაუწყებლობის განვითარების დარგში არის მისი პირველი მოადგილე და დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს დირექტორის უფლებამოსილებებს;
9.3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.
9.4. დირექტორის მოადგილეების ფუნქცია-მოვალეობები და საკურატორო სფეროები განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით და შრომითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 10. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

10.1 სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის ძირითადი ამოცანებია: ა) სატელევიზიო გადაცემების/პროგრამების პრიორიტეტებისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად განვითარება; ბ) საეთერო ბადის სწორი დაგეგმვა, მართვა და განვითარება; გ) აუდიტორიის მოზიდვა და მათი ლოიალურობის ამაღლება.

10.2. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს რადიო მაუწყებლობის სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს რადიო მაუწყებლობის სამსახურის ძირითადი ამოცანებია: ა) რადიო გადაცემების მუდმივად განვითარების უზრუნველყოფა პრიორიტეტებისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად; ბ) რადიოს საეთერო ბადის დაგეგმვა; გ) რადიოს მსმენელთა აუდიტორიის მოზიდვისა და მათი ლოიალურობის ამაღლების უზრუნველყოფა.

10.3. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ონლაინ მედიის სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ონლაინ მედიის სამსახური, მაუწყებლის პრიორიტეტებისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად უზრუნველყოფს მაუწყებლის ვებგვერდის (ajaratv.ge და radioajara.ge) უწყვეტ განვითარებას, ინფორმაციის სწრაფად და ოპერატიულად მიწოდებას, აუდიტორიისათვის საინტერესო მულტიმედიური პროდუქტების შეთავაზებას, ვებგვერდის ტექნიკურად გამართულობას, სოციალურ ქსელებში მაუწყებლის პოზიციონირებასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

10.4. აჭარის ტელევიზიასა და რადიოს ახალი ამბების სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ახალი ამბების სამსახური უზრუნველყოფს პროგრამული პრიორიტეტების დაცვითა და აუდიტორიის ინტერესების გათვალისწინებით, სატელევიზიო და რადიო სამაუწყებლო ბადეებისა და ვებსამაუწყებლო ფორმატის შესაბამისად, ახალი ამბების გაშუქებას.

10.5. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახური უზრუნველყოფს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ამოცანებისა და პრიორიტეტების შესაბამისად, თითოეული საავტორო-შემოქმედებითი გადაცემის ხარისხიან, საინტერესო და მრავალფეროვან გაშუქებას.

10.6. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიმდინარე მაუწყებლობის სამსახური აჭარის ტელევიზიასა და რადიოში უზრუნველყოფს გამართულ, ხარისხიან და შეუფერხებელ მიმდინარე სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობას.

10.7. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური უზრუნველყოფს აჭარის ტელევიზიასა და რადიოში გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობასა და აჭარის ტელევიზიასა და რადიოს საჭიროებების შესაბამისად მათ მუდმივ განახლებას.

10.8. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფინანსური ეფექტიანობის სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფინანსური ეფექტიანობის სამსახური უზრუნველყოფს აჭარის ტელევიზიასა და რადიოს ფინანსური რესურსების ეფექტიან მართვასა და მდგრადობის ანალიზს, ასევე საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას.

10.9. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს იურიდიული მხარდაჭერის სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს იურიდიული მხარდაჭერის სამსახური უზრუნველყოფს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, მაუწყებლის საქმიანობაში სამართლებრივი რეკომენდაციების შემუშავებას, მაუწყებლის წარმომადგენლობას ყველა ინსტანციის სასამართლოში, მაუწყებლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვას და წარმოებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქმისწარმოების ორგანიზებას და სხვა.

10.10. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საკადრო ბაზის განვითარების სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საკადრო ბაზის განვითარების სამსახური უზრუნველყოფს კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვას, შერჩევას, დასაქმების პროცესის ორგანიზებასა და მართვას, თანამშრომლების პირადი საქმეების ადმინისტრირებას და სხვა.

10.11. აჭარის ტელევიზიასა და რადიოს საარქივო სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საარქივო სამსახური უზრუნველყოფს აჭარის ტელევიზიასა და რადიოს მიერ შექმნილი/შეძენილი/დამუშავებული მასალის დაცვას.

10.12. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახური

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მონიტორინგის სამსახური განიხილავს, აფასებს და ამზადებს წერილობით დასკვნებს სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის პროდუქტების ხარისხზე და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

10.13. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შიდა აუდიტის სამსახური

შიდა აუდიტის სამსახურის ძირითადი ამოცანა და ფუნქციაა, მაუწყებლის საქმიანობის გაუმჯობესება შემდეგი საქმიანობის განხორციელებით: ა) მაუწყებლის წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება; ბ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება; გ) მაუწყებლის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებსა და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასება; დ) მაუწყებლის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, რეკომენდაციების შემუშავება; ე) სხვა საქმიანობები, რომლებიც გამომდინარეობს მაუწყებლის საქმიანობის სპეციფიკიდან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

10.14. სტრუქტურული ერთეულების მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილებები და სტრუქტურა განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების დებულებით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი.

მუხლი 11. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფინანსების ფორმირების წყაროები

11.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ფინანსები ფორმირდება:

ა) ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული სახსრებით;

ბ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

11.2. აჭარის ტელევიზია და რადიო კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას.

მუხლი 12. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტი

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის ფორმირების წესი დადგენილია ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონით.

მუხლი 13. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს კონტროლი და საქმიანობის საჯაროობა

13.1. აჭარის ტელევიზია და რადიო დამოუკიდებელია ხელისუფლებისაგან, არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას.

13.2. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს მხოლოდ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა.

13.3. აჭარის ტელევიზია და რადიო უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის საჯაროობას.

13.4. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საჯარო ინფორმაცია გაიცემა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დირექტორის ბრძანებით დანიშნული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

მუხლი 14. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის შეწყვეტა

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმიანობის შეწყვეტა, ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 15. დასკვნითი დებულებანი

15.1 აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წარუდგენს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორი.

15.2 წინამდებარე დებულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანი დებულების ბათილობას.

15.3 წინამდებარე დებულება ძალაში შედის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.